შაბათი, 21 აგვისტო, 1904 წ. 1877 წლიწადი ოც-და-მერვე 1904 შაბათი, 21 აგვისტო, 1904 წ.

# ივერია

№ 193 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 193

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | |
| 11 ,, | 9 ,, 50 ,, | |
| 10 ,, | 8 ,, 75 ,, | |
| 9 ,, | 8 ,, — ,, | |
| 8 ,, | 7 ,, 25 ,, | |
| 7 ,, | 6 ,, 50 ,, | |
| 6 ,, | 6 ,, — ,, | |
| 5 ,, | 5 ,, 50 ,, | |
| 4 ,, | 4 ,, 75 ,, | |
| 3 ,, | 3 ,, 50 ,, | |
| 2 ,, | 2 ,, 75 ,, | |
| 1 ,, | 1 ,, 50 ,, | |

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

## „ივერია"

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჭღირს:

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . 2 „ 50 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. „ივერიის" **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურაში:**—პეტრე მაჭავარიანთან.
**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.
**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).
**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія".

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნებიდგან, თვითეულ გამოცემიდან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".
(40—15). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

**სამეურნეო სკოლაში**, დაარსებულს 4 სეკდემბრის 1883 წელსა, სოფელ წინამძღვრიანთ-კარში, ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში, პირველ სეკდემბერის ამა წლისას, გამოცდის შემდეგ, მიიღებენ მოსწავლეთ პირველ სპეციალურ კლასშა; მოსწავლენი უნდა იყვნენ ჯანმრთელნი, 13-14 წლისანი, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სპეციალური კლასები სამეურნეო სკოლისა, სწავლა და ვარჯიშობა სამი წელია: ორ წელიწადს მოსწავლენი შეისწავლიან სამეურნეო სწავლას თეორეთიკიულად და ვარჯიშობით, მესამე წელს მარტოდ მარტო ვარჯიშობით სამეურნეო ცოდნის იმ დარგს, რომელსაც თვით მოსწავლენი ამოირჩევენ.

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი** 15 **კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში გ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

ქართულ თეატრის დამხმარებელ

## ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—5.

**ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი** აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები; დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 მარიამობის თვემდინ.

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს აზნაურობის, წლოვანობის და ყვავილის აცრის მოწმობები. ყმაწვილების მიღება დანიშნულია 27 მარიამობის თვეს.

ხელმეორე გამოცდა, რომელიც მაისში დაეჩიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 მარიამობის თვეს.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

(3—6—3)

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სკოლისათვის, კაკავში,

საჭიროა

## მასწავლებელი ქალი

ჯამაგირი ექმნება წლიურად 300 მან. (უბინაოდ). თუ მასწავლებელი იკისრებს ხელ-საქმე ასწავლოს მოსწავლე ქალებს, მიეცემა კიდევ ზედმეტად 60 მან. მსურველთ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, (Тифлисъ, Общество грамотности). (3—3)

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

«ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობა ამით აცხადებს, რომ სეკდემბრის პირველიდგან საჭიროა

## მასწავლებელი

«საზოგადოების» სკოლისათვის სოფ. ყალამშიაში (ბორჩალ. მაზრა). მასწავლებელს ექმნება ჯამაგირი თვეში 30 მან., ბინა და შეშა. მსურველმა უნდა წარმოადგინონ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები «საზოგადოების» გამგეობაში, (Тифлисъ, Общество Грамотности).

(2—2).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ბ. ავეტიხიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ჩალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., ხაზებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჴხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროვატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროვატით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—ბარონის ქუჩა, № 18, მესხიშვილის სახლი, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## უმაღლესი მანიფესტი

(შემდეგი *)

X. 1) განთავისუფლებულ იქმნენ საუფლისწულო, სამეფო კარის და ჩვენის კაბინეტის უწყებათა მოიჯარადრენი სხვა-და-სხვა ხარჯისაგან ამ რიგად: ა) ეპატიოთ სასოფლო-სამეურნეო ადგილების მოიჯარადრებს 1900 წლის 1 იანვრამდე შემდგარი და მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებამდე არ გასტუმრებული ნედოიმკები; ხოლო იმ გადაუხდელ ნედოიმკებიდან, რომელიც 1900 წლიდან 1904 წლის 1 იანვრამდე შესდგა, თითო იჯარადარს ეპატიოს არა უმეტესს ექვსას მანეთისა. თუ ხსენებული საიჯარო ადგილები აღებული აქვთ გლეხებისა და მოქალაქეების (მეშჩანების) საზოგადოებებს, აგრეთვე ამხანაგობას, რომელშიაც სამი წევრი მაინც არის, ეპატიოს თვითეულ სახლის პატრონს ან ამხანაგობის თვითეულ წევრს ორას-ორასი მანეთი, ორ წევრიან ამხანაგობას-კი—სამას-სამასი მანეთი თვითეულ წევრს. ბ) ეპატიოთ იჯარადრებს ჩვენის ტახტის მემკვიდრის დაბადებამდე არ გასტუმრებული ჯარიმები და ზარალი, რომელიც შესდგა საკონტრაქტო პირობების დარღვევისა ან შეუსრულებლობისა გამო, სახელდობრ: უწესოდ ან მეტ მიწის მოხვნისთვის, მიწის გაუნოყივრებისა, ხეების დაურგველობისა, ახლად დარგულ ტყის აჩეხისა, შენობების დაქცევისა, სამეურნეო ანგარიშების არევისა, უძრავ ქონების არ ჩვენებისა და სხვა უკანონო საქმეებისათვის; უნდა ეპატიოს ასეთი ზარალი და ჯარიმა თვითეულ პირს არა უმეტეს სამასის მანეთისა; თუ საიჯარო ადგილეაი აღებული აქვთ გლეხთა ან მოქალაქეთა (მეშჩანთა) საზოგადოებებს, აგრეთვე ამხანაგობას, რომელშიაც სამი წევრი მაინც არის,—ეპატიოს თვითეულ სახლის პატრონს ან ამხანაგობის წევრს—ხუთ-ხუთი თუმანი, ხოლო თუ ადგილი აღებული აქვს ისეთ ამხანაგობას, რომელშიაც ხუთი ან ამაზე ნაკლები წევრია,—სამასი მანეთი თვითეულ ამხანაგობას. არ უნდა დაედოს ჯარიმა აგრეთვე ამ მუხლში ჩამოთვლილ წესების დარღვევისათვის, თუ ეს დარღვევა მოხდა მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე. გ) არ გამოერთვას იჯარადარს ის ზარალი, რომელიც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე მოხდა მოიჯარადრის მიერ ვადამდე საიჯარო ადგილის თავის განებების გამო და შემდეგ ამ ადგილის ხელ ახლა გაცემის დროს მომხდარი ზარალი; არ უნდა გამოერთვას მოიჯარადრეებს აგრეთვე ის ზარალი, რომელიც მოხდა მიწის მზომლის მიერ პირობის დაუმტკიცებლობით, ზარალის იმ ნაწილის გარდა, რომელიც შეიძლება შევსებულ იქმნას მოიჯარადრის გირაოდან. დ) ეპატიოთ საიჯარო ადგილების როგორც წინანდელ, ისე ახლანდელ მოიჯარადრეებს მათზე დარჩენილი და მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე არ გადახდილი ჯარიმა, რომელიც მათ დაედო საიჯარო ფულის დროზე გადაუხდელობის გამო. 2) მე-X მუხლის «ბ» «დ»-ნის პუნქტებში აღნიშნული შეღავათი ეხება აგრეთვე სახელმწიფო მამულებისა და საიჯარო ადგილების ყოველგვარ მოიჯარადრეებს. 3) ეპატიოთ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე გადაუხდელად დარჩენილი ჯარიმები, რომელიც ხაზინის ხეტყის შემძენთ დაედოთ ფულის დროზე შეუტანლობისა გამო და დაუბრუნდეთ ამ პირთ მათ მიერ წარდგენილ გირაოდან ის თანხები, რომელიც დარჩება ხაზინის ზარალის გასტუმრების შემდეგ.

XI სხვა-და-ხხვა პირთ, საზოგადოე-

*) იხ. „ივერია" № 192.

ბათ და წოდებათ მიენიჭოთ შემდეგი შეღავათი ხაზინისაგან სესხად ალებულ ფულის გადახდაში: 1. სრულიად ეპატიოთ ის ვალი სტეპნოის, ირკუტსკის და ამურის საგენერალ-გუბერნატოროების და ტობოლსკისა და ტომსკის გუბერნიების სოფლის საზოგადოებათ; ეს სესხი საზოგადოებათ მიეცა გამოსაკვებათ და აგრეთვე ყანების დასათესავად. ამასთანავე ფინანსთა მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით, დაევალა, გამოიკვლიოს, რა და რა შეღავათი მიენიჭოს იმპერიის სხვა ადგილების გლეხობას ამგვარისავე ვალის გადახდის საქმეში. 2. შიდა რუსეთიდან ყოველ გადასახლებულ ოჯახს ეპატიოს 50 მანეთამდე იმ სესხისა, რომელიც მიეცათ გზის ხარჯად და ახალ ადგილზე დასასახლებლად, 3. ეპატიოს და ანგარიშებიდან გამოირიცხოს მემკვიდრის დაბადების დღემდე ნაანგარიშევი: ა) სესხი, ხაზინიდან გაცემული დამშეულებზე 1891 და 1892 წლებში მოუსავლობის დროს ცხენების საყიდლად. ბ) ამგვარივე სესხი, გაცემული 1898 წლის მოუსავლობის დროს ზოგიერთ გუბერნიის დამშეულებზე და აგრეთვე სესხი, რომელიც მიეცა ბესარაბიის გუბერნიის გლეხთ საქონლის საყიდლად, თანახმათ უმაღლესის ბძანებისა, 16 მარტს, 1900 წ. 4. ეპატიოს და ანგარიშებიდან გამოირიცხოს მემკვიდრის დაბადების დღემდე ნაანგარიშევი ფული იმ სესხისა, რომელიც საუფლისწულო უწყებამ მისცა საუფლისწულო მამულების მოიჯარადრეებს 1891 და 1892 წლებში მოუსავლობის დროს. 5. სრულიად ეპატიოს მემკვიდრის დაბადების დღემდე ნაანგარიშევი ფული, რომელიც მიეცათ სესხად საუფლისწულო მამულების უწყების თანხიდან საუფლისწულო მამულში გადასახლებული და ამ ჟამად იქ მოიჯარადრეებად მცხოვრებ პირთ, ამხანაგობათა და საზოგადოებათ, გზის ხარჯათ და საკვებიდ. 6) ეპატიოს სესხად გაცემული ფული ალტაის ოლქის მცხოვრებლებზე 1900 და 1901 წლების მოუსავლობის დროს. 7) არ გადახდეს დარჩენილი და დაუბრუნებელი მემკვიდრეს დაბადების დღემდე ბეთ გაცემული ფული და სურსათი რომელიც წინდა-წინ მიეცა სახაზინო, სამთა-მადნო ქარხნების მუშებსა და ოსტატებს და აგრეთვე ჩვენის კაბინეტის უწყების ალტაისა და ნერჩინსკის ოლქების ქარხნების მუშებს; აგრეთვე ეპატიოთ ყველა ვალი მემკვიდრის დაბადების დღემდე დარჩენილი სახაზინო სამთა-მადნო ქარხნების მუშებზედ, მოიჯარადრეებზედ, არა უმეტეს 150 მანათისა თვითოეულს; თუ ვალი ამ ჯამს აღემატება, თვითოეულ მოვალეს 150 მანათი გამოეკლოს. 8) ეპატიოს ჩვენის კაბინეტის, ალტაისა და ნერჩინსკის ოლქებში მოიჯარადრეებს ის ვალი, რომელიც დაედოთ მემკვიდრის დაბადების დღემდე სხვა და სხვა საიჯარო საქმეების დროზე შეუსრულებლობის გამო; ეპატიოს არა უმეტეს 50 მანათისა თვითოეულ მოიჯარადრეს. 9) ეპატიოს სრულიად სარგებელი ჩვენის კაბინეტის უწყებიდან სესხად გაცემულ ხე-ტყისა. 10) ეპატიოს დროზე შეუტანლობისა გამო შეგროვილი სარგებელი იმ სესხისა, რომელიც ხაზინიდგან მიეცა ქალაქებს და ერობებს, თანახმად უმაღლესის ბრძანებისა, ან 1899 წლის 8 თებერვლის კანონის ძალით. ეს სესხი ხსენებულ დაწესებულებათ მიეცა გზების გასაკეთებლად, მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად, ელევატორების ასაგებად, დამბების და ხიდების გასაკეთებლად. ხოლო იმ სესხისა, რომელიც გაცემულ იქმნა სხვა და სხვა სენთან საბრძოლველად, ეპატიოს ყველა დარჩენილი გარდასახადი. 11) ეპატიოს და ანგარიშებიდან გამოირიცხოს ჯარიმა, რომელიც შეგროვდა მემკვიდრის დაბადებამდე „პოდუხოვნის“ მამულების პატრონებზე პოლონეთის გუბერნიებში; ეს ჯარიმა ნაანგარიშევია იმათზე, რომელთაც დროზე არ გადაიხადეს ნასყიდობის ვალის სავადო გარდასახადი.

XII. არ გამოერთვათ კერძო პირთა და საზოგადოებებს ის ფული, რომელიც კარგის ჯიშის ცხენების მომშენებელმა სახელმწიფო გამგეობამ ამათ გადასცა 1903 წლამდე დოლებსა და გამოფენებზე ცხენების პატრონთა დასაჯილდოვებლად ფულით ან მედლებითა და ნივთებით, მაგრამ ამ კერძო პირთა და საზოგადოებებს კი ფულის დახარჯვის გასამართლებელი საბუთები არ წარუდგენიათ.

(შემდეგი იქნება)

# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

იაპონელების მოსაზრება. — გენ. კუროპატკინის უპირატესობა.—წვრილი ცნობები. — კორესპონდენტის უღონობა.

ბრძოლა შესწყდა სამის კვირით. რუსის ჯარისთვის ამ მცირე დროსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გენერალ კუროპატკინის ლაშქარს ჯარი მიემატა (მეჩვიდმეტე კორპუსის უკან ჩამორჩენილი ნაწილი და, ვგონებთ, ციმბირის მეხუთე კორპუსის ეშელონები). ბრძოლაში მოღალულმა ჯარმა შეისვენა, დანაკარგი შეივსო და ახალი თოფ-იარაღი და ტყვია-წამალი მიიღო.

რასაკვირველია, არც მტერი დაჰკარგავდა ამაოდ ამ სამს კვირას და მოემზადებოდა წინ წამოსასვლელად. გენერალ კუროკის ლაშქრისათვის ცხენის რკინის გზა გაუყვანიათ. სხვა ლაშქრებისთვისაც ინკოუდგან ხაიჩენამდე რკინის გზა აღუდგენიათ, ხოლო ვიწრო ლიანდაგიანი, როგორიც საერთოდ იაპონიაშია. მატარებლები იაპონიიდგან და ამერიკიდგან გადმოუტანიათ და მიმოსვლაც დაუწყვიათ. ამ გვარად ტყვია-ყუმბარისა და სურსათის ზიდვა იაპონელებს გაუადვილდათ. გენერალ კუროკის ლაშქრისათვის დიდი საწყობები გაუმართავთ ფინ-ხუან-ჩენსა და შახედზაში. ამ ორს ადგილს ას-ასი ბამბუკის ბელელ-საწყობები დაუდგავთ და ამდონივე კუან-დან-სანს, იანმინსა და საიმაძში. ესეთი მკვიდრი დაბინავება და მოწყობა გენერალ კუროკის ლაშქრისა იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ეს ლაშქარი ჩრდილოეთისაკენ გაიწევს.

თუ რომ რუსის ლაშქარმა ლიაოიანის დაცლა განიზრახა და მუკდენისკენ დაიწია, გენერალი კუროკი ტელინს დაუახლოვდება. თუ რომ რუსის ჯარი ტელინში გაჩერდება, კუროკი ზემოდ წავა და გადაკლობება.

როგორც ეტყობა, იაპონიის მთავარსარდალს ძალიან კარგა შეუგნია, რომ გენერალ კუროკის ლაშქარს კარგი და ყოველ შემთხვევაში გამოსადეგი ადგილი დაუჭერია, და ადვილად არ დაშლის ამ ბანაკს, თუ ომის გეგმა არ შეიცვალა. (რ. ვ.).

—

«რუს. სლოვის» სამხედრო მიმომხილველი სწერს:

რითი გათავდება ეხლანდელი ბრძოლა, რომელიც ლამის დიდ ომად გადაიქცეს, წინ-და-წინვე ძნელი გამოსაცნობია. ათასი მოულოდნელი გარემოება გადაატრიალ-გადმოატრიალებს საქმეს. მაგრამ უნდა ვსქვათ, რომ გენერალ კუროპატკინს ამ ჟამად რავდენიმე გარემოება ხელს უწყობს და უპირატესობას აძლევს: პირველად ის უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი ჯარი ეხლა პატარა მანძილზეა თავმოყრილი და შუბლი ისე არა აქვს გაფანტული, როგორც იაპონელებს. ეს გარემოება ორთავე ძალას ათანაბრებს, თუმცა იაპონელებს ბევრად მეტი ჯარი ჰყავთ. მეორე უპირატესობა ის არის, რომ რუსის ჯარი ადვილად წაიწევს აქედ-იქით და შესუსტებულ ნაწილს სათარიგო ჯარი დროზედ მიეშველება. მესამეც მკვიდრი ბანაკია. რუსის ჯარს საუკეთესო ადგილები უკავია, რომელიც დიდის დაკვირვებით ამოურჩევიათ და გაუმაგრებიათ რავდენისამე თვის განმავლობაში.

პორტ-არტურიდგან ჩიფუს ჩინელები მისულან და უამბნიათ, 12 აგვისტოს იაპონელები ერთის მილის მანძილზედ იყვნენ პორტ-არტურიდგან, სადაც ახალი ქალაქია გაშენებული, დასავლეთის მხარეს. ჩინელების უბანში ყუმბარეები სცვივა, სკდება და ცეცხლს აჩენსო. წვიმა-ავდარში ჯარი მუხლამდე ტალახში დგას და ისე იბრძვის. ეხლა-კი გამოიდარაო (რ. ვ.).

—

ჩინელების სიტყვით, იაპონელები დარწმუნებულნი არიან, რომ პორტ არტურს აიღებენ.

ინკოუში ეხლახან 26 ციხის სანგრევი ზარბაზანი გადმოუტანიათ და რკინის გზით დაშიცაოსკენ გაუგზავნიათ. ეს ზარბაზნები ლიაოიანის ასაღებად უნდათ.

ინკოუში იაპონელებს 10,000 ხის ყუთი შეუკვეთნიათ, რომლებშიაც ომში მოკლულ და დამწვარ გვამების ნაცარს მოაგროვებენ და სამშობლოში გაგზავნიან. ეს ყუთები, პირობისამებრ, იჯარადრემა ლიაოიანთან უნდა ჩააბაროს იაპონელებს: მოკლულთა დასაწველად იაპონელებს 800 ჩინელი ყული დაუქირავებიათ. (ნ. დ.).

—

«პეტერბურგის ქალაქის უფროსის უწყებაში» გამოცხადებულია:

ამ ჟამად პეტერბურგში შემჩნეულია, რომ ქალები და ვაჟები იმისთანა წამოსასხამს ატარებენ, რომელიც უმაღლესის ბრძანებით დაწესებულია მეზღვაურთა აფიცრისათვის. რადგან კერძო კაცთაგან ამ წამოსასხამის ტარება ჯარის კაცების სახელის დამცირებაა დაბალ-ჯარის კაცების თვალში, უმთავრესი საზღვაო შტაბი გვთხოვს გამოუცხადოთ სატახტო ქალაქის მცხოვრებთ ორთავე სქესისას, რომ აღარ ატარონ წამოსასხამები იმ მორთულობითა და ღილებით, რომელიც მეზღვაურთათვის არის დაწესებულია. ვუცხადებ ამას სატახტო ქალაქის პოლიციას და ვავალებ გამოუცხადოს მკერვალთა და მზად შეკერილ ტანთსაცმელის ვაჭრებს აღარ მიჰყიდონ კერძო კაცებს აღნიშნული წამოსასხამი.

—

«ვარშავის დღიურში» შემდეგი ამბავია დაბეჭდილი. ამ გაზეთის თანამშრომელი მცირედ დაჭრილა და ექიმს ბოტკინს სასანიტარო მატარებელში შეუყვანია, სადაც ცალიერი ადგილები ყოფილა. ერთმა ჯარის კაცმა მუჯლუგუნი წაჰკრა, გენერილი გიბარებსო. მე ძლივს ავდექი და გავყე.

ვაგონიდგან რომ გამოვედი, იქითკენ წავედი, სადაც რავდენიმე კაცი იყო მოგროვილი გენერალის გარშემო. ეს გენერალი ეზერსკი იყო, საავადმყოფოების ინსპექტორი. მიველი თუ არა, დამიყვირა:

— რომ გეძახე, რატომ იმავე წამს არ მოდიხართ? რა ნება გაქვთ ამ მატარებლით იმოგზაუროთ? აიკრიბეთ ბარგი და მიატოვეთ მატარებელი.

მე ზრდილობიანად განვუცხადე, რომ მატარებელში პროფესორმა ბოტკინმა შემიყვანა, როგორც დაჭრილი. გენერალმა სთქვა, მე ბოტკინთან საქმე არა მაქვს, ამ მატარებელში მხოლოდ ჯარის კაცები უნდა იყვნენ და არა კორესპონდენტები, რომლებიც არარას, სრულიად არარაობას წარმოადგენენ.

— თქვენ არარა ხართ! გესმის? სრულიად არაფერი!—სთქვა ბრაზ-მორეულმა გენერალმა.

ამ დროს გენერალმა შენიშნა, რომ ერთმა სამხედრო კორესპონდენტმა გაიღიმა, და ახლა იმას მივარდა:

— თქვენ იცინით? კარგი! მე მთავარბანაკს მოვახსენებ და ოცდა ოთხს საათში რუსეთს გაგისტუმრებენ! ჟანდარმო!..

დარაჯი მოვიდა.

— გაჰყე ამას ვაგონში და მაგის ბარგი გამოიტანე!

სირცხვილით გაწითლებულმა სამხედრო კორესპონდენტმა გაუბედა, მე თვითონ გამოვიტან ჩემს ბარგს, რა ნება გაქვთ ეჭვი შემოიტანოთ, რომ სხვის ბარგს ხელს ვახლებო.

ამ სცენას დაესწრნენ აფიცრები, ექიმები, სანიტარები და სხვები.

ჩვენ ანსანძიანს დავრჩით, სადაც წვიმა-ავდარში მთელი დღე არა გვიჭამია-რა. შემდეგ სხვა სასანიტარო მატარებელი მოვიდა და ლიოიანს წაგვიყვანა.

# ტფილისი

იმ კომისიამ, რომელმაც ქართული თეატრი დაათვალიერა, თანახმად გუბერნატორის განკარგულებისა, წინადადება მისცა თავად აზნაურობის მამულთა გამგე-კომისიას, აუცილებლად შეაკეთოს თეატრში კომისიისაგან ნაჩვენები ნაკლულევანებანი, მაგალითად, გამოსცვალოს სცენაზე რკინის კოჭები, განაახლოს კულისების იარუსებში ზემოდ აუვანილი კიბეები და სხვანი.

*** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით შემდგარმა ტეხნიკოსთა და ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსისაგან შემდგარმა კომისიამ უნდა დაათვალიეროს ტფილისის თეატრები არტისტულ საზოგადოებისა; ვეტცელისა, არაქსიანისა, ავჭალის სახალხო, «ბელვიუ» და სხვ. იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად უზრუნველყოფილია თეატრები ცეცხლის გაჩენის მხრივ.

*** როგორც «მშაკს» სწერენ, პროფ. ნ. ი. მარრს, სოფ. ნორაშენისა, ტანწყოთისა და კლარჯეთის მიდამოებში მოგზაურობის დროს, შემთხვევით უნახავს ტანწყოთის მეჩეთის კედელზედ ერთი საყურადღებო წარწერა ქართულს ენაზედ (ხუცურად).

*** ტფილისის მოქალაქეთა გამგეობას ამ ჟამად საერობო გარდასახადი ჰმართებია 6,780 მან და სახელმწიფო—30,000 მან. ამის გამო მოქალაქეთა გამგეობამ მიჰმართა ტფილისის საგუბერნიო მმართველობას და სთხოვა განმარტება, 11 აგვისტოს გამოცემულ უმაღლეს მანიფესტის ძალით, გვეპატია ეს გარდასახადი, თუ არაო.

*** ტფილისის უბნის ბოქაულებმა თხოვნით მიჰმართეს ტფ. პოლიცმეისტერს, რა ვუყოთ და როგორღა მოვიქცეთ, რომ ვისაც დარჩენილი გარდასახადები ჰმართებით, აღარ გვაძლევენ და 11 აგვისტოს გამოცემულ უმაღლეს მანიფესტზედ გვითითებენო. ისეთ გარდასასახადსაც კი არ იძლევიან თურმე, რომლის შესახებაც მანიფესტში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. პოლიცმეისტერმა მოსთხოვა ბოქაულებს, წარმომიდგინეთ სია გასანაწილებელ გარდასახადისა, საერობო ხარჯის ჯარიმისა და სხვ.

*** სეკდემბრის პირველ რიცხვებში ტფილისში მოელიან ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს ბ-ნს კობკოს, ტფილისს ყველა საკანტროლო დაწესებულებათა სარევიზიოდ.

*** ტეხნიკოსმა ჩახმახსაზიანცმა გუშინ განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში. თავისს განცხადებაში ბ-ნი ჩახმახსაზიანცი ამბობს: «ქალაქს 33 მუშა ჰყავს ქუჩის დამგველი და ნაგვის გადამზიდავიც—12. თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ ეს მუშები არაფერს აკეთებენ, რადგანაც დილის 7 საათზედ დაჰგვიან ქუჩას და მერე ისე ყრიანო. ყურის მგდებელი არავინ არის, თორემ სულ ადვილად შეიძლება, რომ ამოდენა მუშებმა ქუჩები დაჰგავ-დაასუფთაონ და მორწყონ კიდეცაო. ამიტომ ვთხოვ ქალაქის გამგეობას, მომცეს ნება ყურის გდებისა, ან სხვას მიანდოს ამ მუშათა ზედამხედველობაო».

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ს. მ. რ. ზავადსკის პეტერბურგიდგან ტფილისში მოელიან სეკდემბრის შუა რიცხვები.

*** 18 აგვისტოს კრება ჰქონდა ტფილისის ქალაქის სასანიტარო კომისიას. როგორც ამ კრებაზე გამოირკვა, უსახელო საზოგადოება თურმე არ ასრულებს კომისიის დადგენილებას და ცხენების სადგომებს ასფალტით არ აგებს. კომისიამ დაადგინა, თვით ქალაქმა მოაწყოს ცხენების სადგომები და შემდეგ ფული სასამართლოს წესით გადაახდევინოს ბელგიის უსახელო საზოგადოებასაო. იმავე სხდომაზე გამოირკვა, რომ უსახელო საზოგადოება ქუჩებს არა ჰგვის. წინად რკინის გზის ლიანდაგს საზოგადოება თითონ ასუფთავებდა, შემდეგ, როცა მეეზოვეთა შტატი დაწესდა, მეეზოვეებმა ქუჩების გასუფთავება შუაზე გაიყვეს და უსახელო საზოგადოებამ ლიანდაგის წმენდას თავი დაანება. ზოგმა კრებაზე განაცხადა, დავაკისროთ უსახელო საზოგადოებას, რომ ყოველ წლივ 6,000 მან. გადაიხადოს და ამ ფულით თანხა შევადგინოთ მეეზოვეებისთვის გაკირვების დროს შემწეობის აღმოსაჩენადაო. კომისიამ მიიღო ეს წინადადება. შემდეგ კომისიამ დაადგინა: ქალაქის გამგეობამ სასანიტარო ინსპექტორისა, ქალაქის ინჟენერისა და ქიმიკოსის დახმარებით შეადგინოს პროექტი მტკვრის ტოტის გასუფთავებისა და სთხოვოს ქალაქის ქუჩების საუკეთესო სისტემით მომკირწვლელ კომისიას, უმალ ისეთი ქუჩები მოჰკირწყლოს, რომელთა შეკეთებაც ეხლავე აუცილებლად საჭიროა. დასასრულ კომისიამ გადასწყვიტა, სთხოვოს ქალაქის გამგეობას, შეუდგეს ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში საზოგადო ფეხისადგილების გამართვას და დააჩქაროს სუმბათოვის ქარხნიდან ჩითახოვის ფაბრიკამდე წყლის მილების გაყვანა რადგანაც ქალაქის ამ ნაწილს წყალი არა აქვს.

*** ტფილისის მაზრის უფროსმა აცნობა ტფ. გუბერნატორს, რომ სოფ. საკრეჯოლოში საქონლის ჭირი გაჩნდა და სოფ. პატარძეულშიაც გადავიდაო.

*** ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიას სხდომა ჰქონდა 17 აგვისტოს. კომისიამ ჩუღურეთის სკოლის მასწავლებლად დანიშნა ი. მ. ბელძიშევსკისა. კომისიის სხდომაზედ წევრმა რ. ა. იოანესიანმა განაცხადა, პუშკინის სახელობის 1-ლ სასწავლებლის მეთვალყურის თანამდებობაზე ხელს ვიღებ, ვინდრე ამ სკოლის გამგედ ქ-ნი ჩიქოვანი იქნებაო.

*** გუშინ-წინ ტფილისის ქალაქის გამგეობის სამშენებლო განყოფილებამ მისწერა ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს, სამის დღის განმავლობაში გაასუფთავეთ ვორონცოვის ქუჩა იქ დაყრილ მასალისაგან, რომ მიმოსვლა არ შეფერხდესო.

*** პატარძეულიდან «ცნ. ფურც.»-ს სწერენ: ამ ხუთის დღის წინად სოფელში შემოვარდა ცოფიანი მგელი და ოთხი კაცი დაჰკბინა. ოთხივე დაკბენილი ცოფის ამცრელ სადგურში ჩამოიყვანეს ტფილისს.

# საქართველოს ამბები

ყური მოვკარით, რომ 23 აგვისტოს ცხინვალში დანიშნულია ქართული წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით

◆ ქართლისკენ წელს ჰრელი მოსავალი იყო: ზოგან, უფრო კავკასიის მთებისკენ, კარგი და უხვი მოსავალი მოვიდა ჰირნახულისა, მაგალითებრ ლიახვის მარჯვენა მხარესა და მარცხენასა, აგრეთვე ფრონის ხეობათა თავში, ხოლო დაბლობებში მეტადრე სარწყავებში მოსავალი უვარგისი იყო. ურწყავებში სჯობდა უფრო, ამბობენ, რომ სურამისკენაც არ ვარგოდა წელს მოსავალიო. კალოები თითქმის მოთავდა. ვენახებს შუათანად ასხია.

**გ. სიღნაღი.** სიღნაღის მაზრა განიყოფება სამ ნაწილად და ოთხ საბოქაულოდ. უკანა მხარი (კუხეთი), წინა მხარი (კახეთი) და ქიზიყი. პირველ საბოქაულოში (ბაკურციხისა) ირიცხება 11 საზოგადოება ანუ 14 სოფელი, მეორე საბოქაულოში (ქოდალოსი) ირიცხება 21 საზოგადოება ანუ 24 სოფელი. მესამე საბოქაულოში (ქვემო მაჩაანი) ირიცხება 9 საზოგადოება ანუ 17 სოფელი, მეოთხე საბოქაულოში (შირაქისა) ირიცხება 4 საზოგადოება ანუ 6 სოფელი. სულ ოთხსავე საბოქალოში 44 საზოგადოებაა ანუ 61 სოფელია; ორი სოფელიც მოემატა ახლად დასახლებულ ხალხებისა—სვენინო და დობრაოტა. პირველ საბოქაულოში 11 სოფ. საბატონოა და 3 სახაზინო. მეორე საბოქაულოში 8 სოფ. საბატონოა და 16 სახაზინო. მესამე საბოქაულოში 17 სოფ. სახაზინოა. მეოთხე საბოქაულოშიაც 6 სოფ. სახაზინოა. სულ საბატონო მამულზე სცხოვრობს 18 სოფელი და სახაზინოზე 43 სოფ. (ახალი სოფლებით 45).

გაზეთ «ცნობის ფურცელში» ვკითხულობთ (იხ. № 2516—1904 წ.): «სიღნაღის მაზრაში 1903 წელს 105,650 მცხოვრები ყოფილა ორთავე სქესისა. ქართველი 85,411-ია, რუსი—2,666, სომეხი—13,098, თათარი—3,592, სექტანტი—25. მთელ მაზრაში 41 სკოლა ყოფილა, სადაც უსწავლია 1,631 ვაჟს და 1,056 ქალს. აქედან ქართველი ყოფილა 1,914 სული, სომეხი—498,—რუსი 275 და სხვა. ამ სკოლებზე დახარჯულა 25,358 მ. 58 კ. გლეხობისა და კერძო წყაროებიდან 16,178 მ. 58 კ. სახნავი მიწები ჰქონიათ 58,389 დესეტინა. სამღვდელოების შენახვაზე, ეკკლესიის და სკოლების აგება-შეკეთებაზე, სასოფლო სამმართველოების შენახვაზე, გზების შეკეთებაზე და სხვა საქმეზე გლეხობას დაუხარჯავს 32,777 მან. 44 კაპ. და სხვა," (32,777 მ. 44 კ. + 25,358 მ. 48 კ. = 58,136 მ. 2 კ.).

თუ მართლა, როგორც სტატისტიკა გადმოგვცემს, სიღნაღის მაზრის გლეხობას 58,389 დესეტ. სახნავი მამული აქვს და ამგვარად თითო სულს ნახევარ დესეტინაზე ცოტა მეტი შეხვდება, თქვენ პირს შაქარი, მაგრამ ვაი რომ ასე არ არის. პირველ საბოქაულოში თერთმეტ სოფელს ერთი ფეხის დადგმა ადგილი არა აქვს, და რაზედაც სცხოვრობს და მოქმედობს ის სულ საბატონოა, რომელზედაც ან ნაოთხალზე აქვს გადაწყვეტილი ან ქირაობს უფრო სამძიმო პირობით.

სამი სოფელი—ველისციხე, «ნოვო მიხაილოვკა» და ლაგოდეხი—სახელმწიფო მამულებზეა მოთავსებული და, რამდენად ფართო მამულები აქვს, აქედანა სჩანს: სოფ. ველისციხეს სახნავი მამული თითქმის სულ არა აქვს; თუ თითო-ოროლა

მდიდარ და თავისუფალ კაცს აქვს, ესეც ისე ცოტა, რომ სათქმელადაც არა ღირს. დანარჩენნი სულ მევენახეობითა სცხოვრობენ და ვაჭრობით. ლაგოდეხი ჯარის სადგომია (შტაბ კვარტირა) და აქაც სოფლის მცხოვრებთ (პოსელენცებს)—რუსებს და ქართველებს—მამულის სიმცირისა გამო ერთმანეთში დიდი დავი-დარაბა და წეწვა-გლეჯა აქვთ მუდამ ცისმარე დღეს.

მეორე საბოქაულოში 9 სოფელი სცხოვრობს საბატონო მამულზე, და მათი ყოფა-ცხოვრებაც საცოდაობა და სავალახოა. ამ საბოქაულოში ნამეტანი მამულები თავადებისაა და არც სახელმწიფო მამულებზე მცხოვრებნი არიან სანატრელ ყოფაში. სოფლები: კაკაბეთი, ყანდაურა, ჯიმითი და ჰერემი სულ ყოველ დღე ერთმანეთის წეწვა-გლეჯაში არიან მამულის სივიწროვის გამო. ნამეტნავად სოფ. ჯიმითი. ეს სოფელი მომწყვდეულია ბელურა ჩიტივით საბატონო მამულებ შუა, და მცხოვრებლებმა ლამის ერთმანეთი დაჭამონ დავიდარაბით

მესამე და მეოთხე საბოქაულოში სულ სახელმწიფო მამულებზე სცხოვრობენ. ამ საბოქაულოებსა ჰქვიან ქიზიყი. ქიზიყელები გაშლითა და ფართოდ სცხოვრობდნენ «ათადამ-ბაბათამდე»; აქ არ იცოდნენ, რა ხილია და რა იყო «ბატონი». ეს ქიზიყი თავის ბატონიც იყო და პატრონიც.

ქიზიყის საქონელი, ცხვრის ფარები და ცხენის ჯოგები გაშლილი იყო თვალ-გაუწვდენელ და ნაყოფიერ შირაქის მშვენიერ მინდვრებზე. ქიზიყში მცხოვრებელი თავის თავს ღარიბ-ღატაკად ჩათვლიდა, თუ ხუთი წლის სამყოფი პური არ მოსვლოდა (ეხლა ხუთის თვის სამყოფი რომ მოუვიდეს, ისიც კარგია) და ათასი სული ცხვარი არა ჰყოლოდა. ამისთანა ღარიბნი ერთობ ცოტანი უნდა ყოფილიყვნენ. ზოგი კომლი 1500 და 1600 მან. ფოსტის ფულს იხდიდა. ერთხელ განსვენებულ გუბერნატორ გროსმანს შესჩივლა ერთმა ქიზიყელმა გლეხმა: «შენი ჭირიმე, მიშველე რამე, აი ეს ათ წელიწადზე მეტია, რაც 600—700, 1000 მანეთსა და ხან მეტსაც ხარჯს მართმევს სოფელი და ამდენი ხარჯის გაღება აღარ შემიძლიან». წაიკითხა ბ-ნმა გუბერნატორმა თხოვნა, და ასე უპასუხა: „რა ვქნა, შვილო, ეს ჩემ ხელთ არ არის და არც შემიძლიან გაგანთავისუფლო, ან სოფლისგან შეწერილი შეგიმცირო; შენ ისევ სოფლის საზოგადოებას მოელაპარაკე, ისევ ისინი შეგიბრალებენ და შეგიმცირებენ, თუ როგორმე შეიძლება; ალბად გამჩნევს საზოგადოება, რომ შენ მეტს მოქმედობ და სარგებლობ საზოგადო მამულებიდამ, და იმიტომ გაწერენ ამოდენა ფულსაო“. ეს ლმობიერი სიტყვები გარდავეცი გლეხს. «ვაიმე, ესეც დაუქრთამავთ ჩვენი სოფლის მყვლეფავ მგლებსო», სთქვა—და გასწია აუჩქარებელის ნაბიჯით. რა სთქვაო?—მკითხა გუბერნატორმა. მოვახსენე გლეხის სიტყვები. ჩაიღიმა გუბერნატორმა და ეტყობოდა, ეს ღიმილი სასიამოვნო არ იყო. «ნუ თუ სოფელში მექრთამეობააო?»...

შეადარეთ წინანდელი ქიზიყი და ეხლანდელი და დარწმუნდებით, რომ ადრინდელ ქიზიყისა ეხლა ჩრდილი-ღაა. შემოაკვეცეს სანავარდო ფრთები ქიზიყს, და ამანაც უნებურად შეამცირა ცხვრის ფარა, ცხენის ჯოგი და საქონელი. ამის გამო, წინად ქიზიყელი ხნავდა და სთესავდა 60, 80, 100 და 150 დღიურ მიწას და მოჰყავნდა დიდძალი სარჩო,—პური, ქერი და ფეტვი, მთელ ქ. სიღნაღის მცხოვრებსაცა ჰკვებავდა. ეხლა თვით დარჩა სიღნაღის ბაზრის ანაბარა. ამას წინათ ერთი კაცის ოჯახის შვილი ვნახე, სიღნაღის ბაზრიდან გამომცხვარი პური მიჰქონდა. მეორე ოჯახიშვილი ვნახე, ორ ცხენიან «ტაჩკას» მოარახრახებდა. ამ გლეხს წინად შვიდიდან ათ ურმამდე ჰქონდა. გულმა აღარ გამიძლო და ვკითხე: კაცო, შენი შავი ყორანა და მთასავით კამეჩები ამ ორ კატა ცხენზე გასცვალე?!» საწყალი გლეხი! შემომხედა, შავი ალმური აუვიდა სახეზე, და მითხრა მწუხარებით:

—დიახ ჩემი ყორანები აღარა მყავს, აღარც აჯილღა ცხენები და ცხვრის ფარები, აი, როგორც ხედავს შენი კეთილი თვალი, ეხლა ჩემი ფარებიც, ჯოგებიცა და ნახირიც ეს ორი ცხენია და დანჯღრეული ტაჩკა. თუმც ძალიანა მრცხვენიან, მარამ რა ვქნა, ვიქურდო? არა, სანამ ცოცხალი ვარ, არ ვიქურდებ კი და ესე ძაღლ-უმადურად ვიცხოვრებ.

—კაცო, რა მოგივიდა, რა უყავ საქონელი?

—საქონელი ზოგი ჭირმა გამიწყვიტა, ზოგი მომპარეს, ორიოდ კამეჩი და დამრჩა და გავყიდე.

—ცხვარის საბალახის ძლევას ვეღარ აუველ და ცხვარიც ერთ თუშს მივყიდე. ერთი ოცი თუმანი ბანკში (შემნახველ კასაში) შევიტანე, დანარჩენით ეს ტაჭკა ვიყიდე და დავარახრახებ.

მეტათ დამაფიქრა ამ ოჯახის შვილმა და დარბაისელ შემძლებლების ასე გაღატაკებამ. რომელი ერთი ჩამოვთვალო! ბევრი-ბევრი ერთი-ათი წელიც და, მშვიდობით, ქედ-მოუხრელო და ამაყო ქიზიყო! ის ქიზიყი, სადაც პურის, ქერის, ფეტვის, ყველ-ერბოს, მატყლისა და საკლავ საქონლის ზღვა იყო, ისე გაღატაკდება, რომ იქნება დახმარებაც კი დასჭირდეს. რა არი მიზეზი ასე გაღატაკებისა? მიზეზი ბევრია, მაგრამ უმთავრესი და ერთად ერთი,—მამულის უქონლობა და სივიწროვეა, ხარჯებისა კი—გაორკეცება.

სოფ. ჯუგაანი, ასანური, საქობო, მაშნაარი და ვაქირი მეთამბაქოებას მისდევს, მარამ ამ დარგმაც წელს უმტყუნა. ნეტავ იმდენი აიღონ, რაც თითონ დაუხარჯავთ, თორემ მოგებას ვინა ჩივის. ს.ს. ანაგა, კარდენახი, ბაკურციხე, კოლაკი, ვეჯინი, გურჯაანი, ახაშენი და ველისციხე სცხოვრობდა და სცხოვრობს მარტო ვენახებით. ამ ვენახების წვენი იყო და არის ყოველგვარ სახელმწიფო და საერო გარდასახადის გამსტუმრებელი და პასუხის გამცემი. ამასაც გაუჩნდა ათას გვარი დამღუპავი სენი. ამ სენის საწინაღმდეგო საშუალება აღმოაჩინა მეცნიერებამ, და ხალხიც გაუმკლავდა სენს, არ დაერიდა ხარჯს, იშრომა დღე და ღამ უყარაულ-უდარაჯა და აიცილა ეს კაცობრიობის მავნებელი სენი და კიდეც ისარგებლეს წამლებით, მუყაითობითა და შრომით. ეს ოთხი თუ ხუთი წელიწადია, რაც ვენახებმა მაშვრალ და მრავალტანჯულ გლეხობას კაი მოსავალი მისცა. ვენახების წყალობით ბევრმა შეისყიდა «ნადელი», მოიშორა სიღნაღელ მოვახშეების ვალები, ზოგმაც გამოჭიმა ორ-სამ სართულიანი სახლები ევროპიულ გეგმაზე. მაგრამ დახე უბედურებას! მაშინ გამოტყვრა რაღაცა მწერები და ანადგურებს ვენახებს, აოხრებს და ჰღუპავს ამ ხალხის სარჩო-საბადებელს. ზოგიერთი ვენახები თითქმის გაუნახევრებია. ამბობენ, თუ ასე წავიდა საქმე, როგორც ეხლაა, შენი მტერიო, ხალხს გუდის აკიდება დასჭირდებაო.

## მხვნელ-მთესველთა საყურადღებოდ.

რამდენიც დრო მიდის, იმდენად უფრო ვრცელდება მეურნეობა ჩვენში. მართალია, ჯერ ჩვენი ხალხი ისე განვითარებული არის სამეურნეო საქმეში, როგორც სხვაგან, მაგალითად სამზღვარ გარედ, თუნდა რუსეთში, მაგრამ შედარებით, ღონის დაგვარად, მუშაობენ და პირდაპირ ამოჩემებული აქვთ ჩვენ მხვნელ-მთესველთ პურის, ქერის და სიმინდის მოყვანა, რითაც ყოველთვის, ბედნიერი წელიწადიც რომ შეხვდეთ და უბედურება არა დაატყდათ-რა სეტყვით, გვალვით და სხვა მიზეზით, მაშინაც კი თავიანთ შრომის ფასს ვერ აინაზღაურებენ ხოლმე. ერთხელ არ მოუვათ ფიქრად, რომ საქართველოს ვრცელ დედამიწაზედ სულ მარტო პური, ქერი და სიმინდი უნდა თესონ, თუ სხვა რამის დათესვაც შეიძლება. რატომ არ უნდა მოგვივიდეს ფიქრად, რომ მთელი სამზღვარ-გარეთი და მთლად რუსეთის მიწები ითესება სელით, რომელიც ერთი სამად და მეტადაც ხეირს აძლევს მხვნელ-მთესველს, მინამ სხვა ჭირნახული. სელი, რაც უნდ დავარდეს, ფუთი მანეთ ნახევრად ჰღირს, ხან ორ მანეთად და ჭირნახული კი, კარგი მაზანდაც რომ ჰქონდეს მესამედ ფასადაც არ იყიდება! რატომ არ უნდა დაუკვირდნენ, მაშ, ახალგაზდა აგრონომები ამ გარემოებას?!

რატომ არ უნდათ გაავრცელონ სელის თესვა საქართველოში? იმერეთში ითესებოდა კიდევ ცოტა, მაგრამ გულ-აცრუებით და, რაც კი მოჰყავთ, ფუთს ორ მანეთზედ ნაკლებ არა ჰყიდიან. საზოგადოდ ცნობილი ზეთი გორისა, ვისაც გაუგონია და ვისაც უხმარია ეს ზეთი, გახლავს იმერეთის სელისა, და ამისათვის, ჩემის აზრით, დიდად საჭიროა ამის მოფიქრება ნასწავლ მეურნეთაგან, ამხანაგობის შესადგენად ანუ კერძოდ ჩაგონებით მავნელ-მთესველთა, რომ დაიწყონ სელის თესვა. ზოგმა თუ არ იცის, როგორ შეიმუშავოს მიწა, გამოიცეს პატარა ბროშურები, დარიგება და მაშინ ბედნიერი იქმნება ჩვენი ქვეყანა.

მილიონ ფუთობით ზეთი მოაქვთ ქალაქში, როგორც საჭმლისათვის, ისე საღებავებში სახმარებლად; მერე საიდამ? რიგიდამ, იაროსლავის გუბერნიიდამ. მარტო ქირა ვიფიქროთ, მაინც ამდენს ხარჯს იტანს. ნეტა ნამდვილი ზეთი მაინც იყოს. კანიფოლით (ფისით) და სხვა და სხვა მასალით შეზავებულია და ჩვენ რომ აქ ზეთი გვქონდეს და სელის თესვას მივყოთ ხელი, მაშინ ჩვენ გავგზავნით აქედან რუსეთში გასასყიდად ნამდვილ ზეთს.

მცირედი მაგალითი უნდა მოვიყვანო იმისი, თუ ჩვენის ქვეყნის საქონელი რამდენად ვრცელდება უცხო ქვეყნებში. აქამდინ რუსეთიდამ ვიწერდით საღებავ მიწებს (**охра, мумія, шпатъ, желѣзный сурикъ** და სხვა) და ქირას ფუთში ორ აბაზს ვიხდიდით. ახლა გამოჩნდა აქ ხალხი, გახსნეს ქარხნები (ტფილისში, სოსინმა და ბაგატუროვმა) და ათას ფუთობით გზავნიან რუსეთში. აქამდინ იქიდამ ფუთი რომ ორ მანეთამდე გვიჯდებოდა, აქ მანეთად ჰყიდიან და, რასაკვირველია, რუსეთშიაც ფასი დასწია, და თუ კი ეს საღებავი მიწა მიაქვთ და იქიდამ მოტანა სრულიად შესწყდა, რატომ ზეთებს არ გამოიწერენ. მერე ხალასს ზეთებს? საჭიროა ამაზედ მოფიქრება, რომ წრეულვე შეუდგნენ დათესვას და მომავალ წელიწადში გვქონდეს ჩვენი სელი და თან და თან შეეჩვიოს ჩვენი ხალხი სელის მოყვანას. შეიძლება თესლი არა ჰქონდეთ მხვნელ-მთესველთ, მაშინ უნდა აღმოვუჩინოთ საშუალება, უნდა ვუშოვნოთ თესლი და ყველა დააბრუნებს უკან. ღმერთმა ნუ ინებოს, და აქაც რომ ზარალიანი წელიწადი შეხვდეთ ჩვენს მეურნეთ, მაინც სელი მეტს სარგებლობას მოუტანს, მინამ სხვა ჭირნახული. ალაგი ბევრი გვაქვს, სარწყავი თუ ურწყავი, და მაშ, რაღამ უნდა შეგვიშალოს ხელი?!

ა. თუთაევი.

## ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლა.

(დასასრული *)

დიდად მავნებელია ჩვეულება კოცნისა, ხვევნისა, ჩახუტებისა. პირუტყვული სიამოვნება, რომელსაც გრძნობენ დიდები ნორჩ, სათუთ ბავშვების კოცნა-ხვევნით, ყოვლად გასაკიცხია.

ჭლექიანმა ქალმა ძუძუ არ უნდა აწოვოს თავის ბავშვს, რადგან დამტკიცებულია, რომ უფრო ხშირად ჭლექიანები არ იბადებიან, არამედ ბავშვებს მშობლებისაგან ედებათ ჭლექი.

ჭლექიანის შვილმა ცოლი არ უნდა შეირთოს. მეტადრე საშიშარია ჭლექიანის ქალიშვილისათვის გათხოვება, რადგან ორსულობა და მშობიარობა ძლიერ ცუდად მოქმედობს ჭლექიანზე. ამასთანავე ქმარი ცოლს, უფრო ხშირად კი ცოლი ქმარს ხშირად გადასდებენ ერთი მეორეს ჭლექს.

მავნებელია მტვერი, რომელიც ჰაერში ადის ოთახის დაგვის დროს. ოთახი ისე უნდა იგვებოდეს, რომ ჰაერში მტვერი არ ადიოდეს.

მავნებელია წიგნის ფურცვლის დროს თითის დაწება ენაზე, რადგან წიგნის მტვერში შეიძლება ჭლექის ბაცილა იყოს.

მეტად დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ჭლექიანების შვილებს და აგრეთვე ყველას, ვისაცა აქვს ჭლექიანის აგებულება, ზემოდ აღწერილი. ამ გვარი კაცები უნდა მოარიდონ ყოველ გვარ ცუდ გარემოებას, მეტადრე ჭლექიანებთან ერთად ცხოვრებას. კარგი საჭმელი, საზოგადოდ რიგიანი მოვლა და თავ-შენახულობა აუცილებელია მათთვის. აგრედვე დროს გატარება ზამთარში ზემოდ-აღწერილ მთიან ადგილებში, ზაფხულში კი ზღვის პირად.

უბედურება ის არი, რომ საზოგადოდ თავი არავის არ ჰგონია ჭლექიანი. მე ვფიქრობ, ყოველი კაცი მოვალეა ეჩვენოს ექიმს და გაიგოს თავის ავადმყოფობის ამბავი. ეს მისთვისაც სასარგებლო იქნება და საზოგადოებისთვისაც.

თუ ვინმე გამხდარია და ნახველს აღებინებს, მეტადრე მან უეჭველად ექიმს უნდა მიჰმართოს, რომ თავისი ეჭვი გამოარკვიოს და, თუ ჭლექიანი გამოდგა, იზრუნოს, როგორც თავის-თავისთვის, აგრედვე საზოგადოებისათვის.

ბევრი მშიშარა ავადმყოფია, რომელსაც ურჩევნია არ იცოდეს თავის ავადმყოფობის მიზეზი და იყოს სულიერად დამშვიდებული. ამ გვარი ავადმყოფი, რადგან თავს ავადმყოფად არ სთვლის, ხშირად ესალმება ხოლმე წუთი-სოფელს თავის უზრუნველობის გამო.

ზოგს კიდევაც ეთაკილება ჭლექიანობა, მაგრამ აქ სათაკილო არა არის რა. ჭლექი აგრეთვე არ არი სამარცხვინო, როგორც ყოველი სხვა სნეულება. ხსენებული ცრუ რწმენა შედეგია ცრუ-მორწმუნეობისა, რომელშიაც ჰყვინთავს ჯერ კიდევ ჩვენი ხალხი.

საზოგადოდ, ჩემის ფიქრით, ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ყოველი სალი ადამიანიც ისე მოიქცეოდეს, როგორც ჭლექიანი, ე. ი. ისეთს ზომებს მიიღებდეს ჭლექის გადადების წინააღმდეგ, როგორც ჭლექიანი. ყველას, სალ ადამიანსაც კი, საკუთარი ჭურჭელი, საკუთარი ქვეშსაგები, საკუთარი საცვალი, საკუთარი კბილის-საწმენდი მასალა, საკუთარი საპონი და სხვ. უნდა ჰქონდეს, რადგან ეს სასარგებლოა, როგორც ჭლექის გადადების მხრივ, აგრეთვე სხვა სნეულებათა გადადების მხრივ.

კოცნა, ხვევნა, ჩახუტება ჩჩვილ ბავშვებისა, ერთად წოლა მათთან მავნებელია აგრედვე, როგორც ჭლექის გადადების მხრივ, აგრედვე სხვა სნეულებათა გადადების მხრივ.

მტვერი მავნებელია არა მარტო ჭლექიანის ოთახში, არამედ ყველგან და სხვ. და სხვ.

აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი სამწუხარო მოვლენა. ჭლექიანები ხშირად ისე გატაცებულნი არიან თავის ავადმყოფობით, რომ მხოლოდ თავის თავისათვის ზრუნავენ და სრულიად არ ცდილობენ ჭლექი არ გადასდვან სხვებსაც. საჭიროდ მიმაჩნია მოვაგონო ამათ, რომ ყოველი კაცი მოვალეა იზრუნოს, როგორც თავის თავისთვის, აგრედვე სხვისათვისაც.

მეორე მხრივ, ვინც სალია და ბედნიერი, იგიც მოვალეა ყოველი ღონის-ძიება იხმაროს ავადმყოფის მორჩენისათვის.

სალსაც და ავადმყოფსაც კი ორივეს ერთად უნდა ახსოვდეს, რომ საჭიროა ძველ, მავნებელ ჩვეულებათა უარყოფა და ცხოვრება სხვა წესზედ, ისე, როგორც მეცნიერება მოითხოვს.

ექიმი ვასილ წერეთელი.

*) იხ. ივერ. № 192.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 აგვისტო.

**ლონდონი**. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ იაპონიის მთავრობისაგან დანიშნული გარეშე საქმეთა მინისტრის მოთათბირედ სეულში სტევენსი, ჩამომავლობით ამერიკელი, დიდი ხანია იაპონიის სამსახურშია. იაპონიის მთავრობამ განაცხადა, რომ სტევენსის დანიშვნა კორეის დამოუკიდებლობას არ დაარღვევსო.

**პეტროპავლოვსკი**. გაიარა პირველმა მატარებელმა ტყვე-იაპონელებითა, სულ 500 კაცია.

**ლონდონი**. გარეშე საქმეთა სამინისტრო იუწყება, ინგლისის ელჩი პეტერბურგში უარ-ჰყოფს იმ ხმას, ვითომ რუსეთის მთავრობამ საზღაური გადაიხადა გერმანიის გემ «ტეა»-ს დაღუპვისათვის.

**ბერლინი**. ლონდონიდგან იუწყებიან, დეპეშით ლიაოიანიდან 18 აგვისტოს თარიღით, რომ ბრძოლა ჯერ არ შეწყვეტილაო. იაპონიის ახალი ჯარები შეუწყვეტლად მოდიან. იაპონელები მიდიან რუსების პოზიციებზე დასავლეთად ლიაოიანიდან.

**ჩიფუ**. („რეიტერი“). ეს არის მოვიდა ჩინელი, რომელიც 16 აგვისტოს საღამოთი გამოსულა პორტ-არტურიდან. ის იუწყება, 14 აგვისტოს ცხარე ბრძოლა იყო, იაპონელნი აწვებოდენ სუიშანიდან, ცდილობდენ დაეჭირათ პალიჯუანი და ორჯელ მიიტანეს იერიში, მაგრამ ორჯელვე უკან დაახევინეს. იაპონელებმა დაჰკარგეს 1054 კაცი. შემდეგ იაპონიის ბატარეებმა, რომელიც სუიმანზეა, ერთი საათის განმავლობაში მოჰფინეს ქალაქი ყუმბარეებითა. ჩინელმა დასძინა, იმის წამოსვლამდე იაპონელები აღარ ცდილან პალიჯუანის აღებასა და ამტკიცებს, რომ რუსებმა ხელმეორედ დაიჭირეს იტშანიო. 15 აგვისტოს იაპონელთ იერიში მიიტანეს ფორტზე № 6. ეს ფორტი სრულიად ახალია და კარგაა გამაგრებული. სამი საათის საშინელის ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც იაპონელებს ჯვარედინად ესროდა ფორტი № 2, იმათ მოახერხეს ფორტის № 6-ს აღება. ჯარი გავიდა ფორტიდან. რამდენმამე ფორტმა დაუწყო № 6-ს სროლა და ამიტომ იაპონელთ თავი გაანებეს.

**სტავროპოლი**. ქალაქის საბჭომ უქვეშევრდომლესი გრძნობანი გამოუცხადა მათ უდიდებულესობათა მემკვიდრის დაბადების გამო, დაადგინა გამართოს პირველდაწყებითი სასწავლებელი, აპატიოს ღარიბებს 20 ათასი მან. და დააწესოს 400 მან. სტიპენდია ქალთა მედიცინურს ინსტიტუტში.

**მოსკოვი**. საროვის მონასტერმა გამოაცხადა სურვილი, რომ 130 დაჭრილს მიიღებთ ყურის საგდებადო.—ლეპეშკინის ცოლის ანდერძის აღმასრულებელთ 500 ათასი მან. შეიტანეს ქალაქის კასსაში განსვენებულისაგან დაფუძნებულის საქალებო პროფესიონალურს სასწავლებლის შესანახად.

**ბერლინი**. პრინცესა ლუიზა კობურგელი უცბად წავიდა ელსტერის სამკურნალო წყლებიდან. ალბად პორუჩიკმა მატაშიჩმა წაიყვანა, რომელთანაც წინადაც დაახლოვებული იყოვო.

20 აგვისტო.

**ტოკიო**. (რეიტერი). ლიაოიანიდან მოხსენებებში არ არის დასახელებული იაპონელთა ზარალი; ჰფიქრობენ, ზარალი დიდი უნდა იყოს, რადგან დიდი ჯარი იღებდა ბრძოლაში მონაწილეობას და ერთობ მედგარი იერიში მოჰქონდათ იაპონელებს გამაგრებულს პოზიციებზე. მეორე წყობა რუსების სიმაგრეებისა უფრო მტკიცეა, ვინემ ანშანჯანთან. ანგარიშობენ, კუროპატკინს 150 ათასი კაცი ჰყავს თოფ-ქვეშაო. მარჯვენა ფრთედმა და შუბლმა რუსთა, რომელნიც იცავენ ლიაოიანსა სამხრეთიდან, შუადღის შემდეგ დაიხიეს ლიაოიანს. ვენსუშანის მთის გარემო ბრძოლა ისევ არის. 17 აგვისტოს, რუსის ბატარეია ისე მარჯვედ ესროდა მტერსა, რომ იაპონიის რაზმმა ძალაუნებურად გარს შემოუარა ვენსუნშანის სიმაღლეებს და გაუხვია აღმოსავლეთისაკენ, ვენსუნშანის მთა ერთობ შესანიშნავია. რადგანაც დასცქერია სამხრეთ ნაწილს ლიაოიანის ველისას. ჩინელნი, რომელნიც ლიაოიანში არიან, დარწმუნებით ამბობენ, იაპონელნი უკანვე დაბრუნდებიან, ოღონდ კი ვენსუნშანის სიმაღლეები დაიჭირონ, თუნდაც იმის აღება ძვირათაც დაუჯდეთ.

**მუკდენი**. (რეიტერი) იაპონიის რაზმი 10 ათასი კაცი ვითომ მუკდენზე მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

**ფილიპოპოლი** (ოპოზიციის ცნობები). უსკიუბის ვალი დაბრუნდა იპეკიდან დ მოახსენა სტამბოლში, რომ ალბანიაში ეცადა მშვიდობის დამყარებას და ცდას კიდევაც ჰქონდა რიგიანი შედეგი. მან შეიპყრო ავაზაკები და დაამშვიდა მცხოვრებნი, რადგან ხარჯის შეტანა ადროვა. მაგრამ მაინც ელიან ამბოხების განმეორებას, რადგანაც ბევრი დასჯილთაგანი გამოუშვეს.—ის ამბავი, ვითომ საბერძნეთის საპატრიარქოსა და რუმინიის მთავრობის შორის შეთანხმება მოხდა კუცოვლახელთა შესახებ, ტყუილია; პირიქით, საბერძნეთის სინოდი არა სთანხმდება და ეკკლესიიდან განაყენა ორი ბერძნის მღვდელი მონასტერში, იმისთვის რომ იმათ პანაშვიდი გადაუხადეს მიცვალებულ კუცოვლახელთა; ამას გარდა, სინოდმა დაადგინა, ეცნობოს ბიტოლელ მიტროპოლიტს, რომ განაყენოს ყოველი ქრისტიანე, რომელიც კი დაუახლოვდება იმ მღვდლებსა.

**ორენბურგი**. საბჭომ ერთხმად დაადგინა მემკვიდრის დაბადების გამო გამოეცხადოს უქვეშევრდომილესი გრძნობანი, გაიმართოს სავაჭო სასწავლებელი მემკვიდრის სახელობისა, სწავლის ფული ნუ გამოერთმევათ ქალაქის სასწავლებლებში და ეპატიოთ ღარიბებს 6500 მანეთი.

**სურამი**. გლეხობამ და ყაზახებმა პოპოვოგოროვსკისა, ზაბორსკისა და კატანოვისამ მემკვიდრის დაბადების გამო ყრილობაზედ დაადგინეს, გამოეცხადოს

ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი გრძნობანი, დაერქვას ზაზარსკის ბავშვთა თავშესაფარს „თავ-შესაფარი ცესარევიჩ ალექსისა“ და შესანახად დესიატინაზედ გადაიდო ერთი კაპ., რაც შეადგენს წელიწადში 680 მ

**ფილიპოპოლი.** (ოპოზ. ცნობებით). ოფიციალური «ახალი საუკუნე» იუწყება, ბოლგარიის მთავრობას განზრახვა აქვს ვალი აიღოს არა ჩვეულებრივ ხარჯების დასაფარავად, რაც აწინდელმა საქმეთა მდგომარეობამ გამოიწვია, და გასაკეთებლად ბალკანეთის რკინის გზის ახალის ლიანდაგისა, მაგრამ რადგანაც აუცილებელის საჭიროებისაგან არ არის გამოწვეული ამ ვალის აღება, ამიტომ მთავრობა არ აჩქარდება და უმჯობეს დროს შეურჩევს.

20 აგვისტო.

**პეტერბურგი.** მემკვიდრე ჩესარევიჩი ჩაირიცხა მე-89 ქვეითა ბელომორსკის პოლკის სიებში.—ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება და ნება დართო, რომ მოიწვიონ პეტერბურგს სინოდის კრებაზედ დასასწრებლად ყოვლად-უსამღვდელოესი გურიი, მთავარ-ეპისკოპოზი ნოვგოროდისა.

**ლონდონი,** 16 აგვისტოს (რეიტერი) ოფიციალურ მოხსენებაში, რომელიც ტოკიოდან მოვიდა, აღწერილია ბრძოლა ლიაოანთან. კუროკის ჯარი ღამე გავიდა ტაიძიხეში და დაიჭირა მაღლობნი აღმოსავლეთად ჩჟუანიაოძიდან, რომელიც არის ოთხის მილის მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ლიაოიანიდან. ამავე დროს კუროკის ჯარის მარცხენა ფრთა დაეცა რუსებს, რომლებსაც ეჭირათ ტასლუნლინის გადასავალი. მაგრამ იაპონელებმა ვერ გაიმარჯვეს. ამავე დროს ოქუს დასავლეთის ლაშქარი იჭერდა ვენსუნშანის მაღლობებს, რომელიც ლიაოიანიდან ხუთის მილის მანძილზეა სამხრეთ-დასავლეთად. დასავლეთ აღმოსავლეთის ლაშქრებთან ერთად თავ-დასხმაში მონაწილეობას იღებდა შუა-გული იაპონელთა მხედრობისა. 17 აგვისტოს სამმავე ლაშქარმა განაგრძო თავ-დასხმა. რუსნი უმწვერვალესის მხნეობით იგერებდნენ მტერს. იაპონიის დასავლეთის ლაშქარი იძულებული იყო დაეწია ვენსუნშანის მაღლობებიდან სინლინტუნის მაღლობებისაკენ, ლიაოიანიდან სამხრეთად. შუა-ღამისას, 17 აგვისტოს, იაპონელებმა მიიტანეს უმთავრესი იერიში და დიდი ზარალი მისცეს რუსებს.

**ტოკიო,** 19 აგვისტოს (რეიტერი). კუროპატკინმა მთელს თავის ჯარს ლიაოიანში მოუყარა თავი და ყოვლად მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწია. უკანასკნელ დღეების განმავლობაში ოიამამ რამდენჯერმე მიუსია იპონელთა შეერთებულნი ლაშქარნი რუსებს, რომელთაც ეჭირათ მშვენივრად გამაგრებული ადგილები მთის ქედებზედ. ბოლოს იაპონელებმა მოახერხეს და უკან დასწიეს მარცხენა ფრთა რუსებისა; ხოლო მარჯვენა ფრთისკენ დიდხანს ვერა გააწყეს-რა; აქ რუსებმა უკუ-აქციეს მრავალ-ჯერ იერიშით მისულნი იაპონელნი. განთიადისას, 19 აგვისტოს იაპონელთა მარცხენა ფრთამ გაამაგებით მიიტანა იერიში და გაიმარჯვა კიდეც. ოიამა ამბობს, რომ ჩვენი ზარალი ამ იერიშების დროს დიდიაო. კუროკის ლაშქრის ზარალი 11-დან 15 აგვისტომდე თითქმის 2.255 კაციაო.—ყველა ისე ჰგონებს, რომ პორტ-არტური სექტემბრის გასვლამდე თავს დაიჭერს, ამაზედ ადრე არ დაეცემაო.

**ტოკიო.** 18 აგვისტოს (რეიტერი). ჩინეთის მთავრობა განაგრძობს ჯარების გაძლიერებას ლიაოს სანეიტრალო ნაპირად. გენერალმა მამ ბრძანება მიიღო მხნედ დაიცავს ნეიტრალიტეტის უფლება-მოვალეობანი. იაპონიის მთავრობის ჟურნალ-გაზეთები აფრთხილებენ ხალხს, წინ და წინვე იცოდეთ, რომ მთავრობა მალე არ ელის ზავის ჩამოგდებას და ურჩევს, ახლავე მზად იყავით ხანგრძლივისა და ძნელის ომიანობისათვისაო.

**შანხაი,** 19 აგვისტოს (რეიტერი). «რიურიკის» მღვდელი, რომელიც აქ მოვიდა, ამბობს, რომ როცა ყველა აფიცრები დაიჭრნენ და დაიხოცნენ, პრანოვმა, ახალგაზრდა აფიცერმა მიიღო უფროსობა გემისა და სცდილობდა საჭეს გამართვას, მაგრამ, რაკი ვერა მოახერხა, მოინდომა კრეისერის აფეთქება. ესეც ვერ მოახერხდა, რადგან ნაღმები გაფუჭებული იყო. დაჭრილები დააწვინეს პრობკის ხის ლოგინებზე და მისცეს ზღვას. დანარჩენი მეზღვაურნიც ზღვაში გადაეშვნენ. იაპონიის ნაღმოსანი შემოვიდა ნავსადგურში; ჰგონებენ, რომ დეპეშებს წაიღებს ფლოტისათვისაო.

**ტიან-ძინი,** 19 აგვისტოს (რეიტერი) ხმა მოვიდა პორტ-არტურიდან, რომ იაპონიის ჯარი სცდილობდა გადასულიყო ხმელეთზედ ლაოტეშანის კანდელთან, ხოლო იაპონელთა რაზმნი გაემართნენ იქითკენვე მტრედის ყურეს ნაპირად. ამიტომ ალყა უფრო მჭიდროდ შემოერტყმის ციხესაო. ზარალი იაპონელთა ლიაოტეშანთან დიდია,

**ჩიფუ.** (რეიტერი) გარტი ჰგონებს, რომ გემ «ინდეპენდანტს» უნდა მიეცეს ნება გავიდეს ნიუ ჩჟუანს. იაპონელთა ერთი კრეისერი და ორი კონტრ-ნაღმოსანი ნავთ-სადგურის ახლო სჩანს.

**ლონდონი.** გავრცელდა ხმა, რომ მეფე ედუარდი ავად არისო. ლეიბ-მკურნალმა კი გამოაცხადა, მეფე კარგად ბძანდებაო. თვით მეფე ბრძანებს ასე კარგად არას დროს არა ვყოფილვარო.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
17 აგვისტოს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,97½ |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები | 94,75 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92¼ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 89 ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 386½ წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 298½ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 255 ნ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. ს. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

---


# განცხადებანი

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მეურველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, ქედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით გადამდებს სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში დაბეჭდილი ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქის საბჭომ 1,000 მანეთი გადასდო ღარიბ მცხოვრებთა დასარიგებლადაო, ნამდვილი არ არის; ყოველ დღე ამის შესახებ აურიცხელი თხოვნები მოდის ქალაქის გამგეობაში. ამიტომ, ყოველი ფორმალური და სიტყვიერი თხოვნა ამის თაობაზედ უყურადღებოდ იქმნება დატოვებული. (1—6—1).



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**
**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**
**Б. М. МИРИМАНІАНЪ**
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—13)

---

გამოვიდა და ისყიდება ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა,
ფასი 70 კაპ.
(2—141—2).




ს.-პეტერბურგის კომპანია
## „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | | |
|---|---|---|
| ძირითადი | თანხა | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო | თანხა | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავ-მოძრავ ქონებისა.

გ) დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, აირჟების ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)




ვერცხლისა




ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




## ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ხაირს ფერს ზეთით გადესილს საღებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ხაცმობს და ეცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც ვქნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადგილას. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაეთმობა პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადგილი თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—15)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

ამხანაგობა
## რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურისა
## პეტერბურგში
დაარსებული 1860 წელს

სთხოვენ მყიდველთ: **რეზინის კალოშებისა** ყურადღება მიაქციონ კალოშის ნიშანს:




განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“, წითელ სამკუთხეში (ფაბრიკის ნიშანი). (60—38).




Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семин рія